რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 12 აპრილი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 84 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 84

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. Редакція „Эртоба"
ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

გულდათუთქულნი მშობლები გიგო, დედა ელისაბედ ჩხაიძის ასული დოლიძისა, შვილები ილიკო, სამსონ, თეოფილე, ერმილე, დები ტერეზი, ნატაშა, რძლები სონა და მარია, სიძეები ელიაზარ და ირაკლი, ბიძა ნოე, ბიცოლა ლიზა, შვილი მათი გრიშა დოლიძენი აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს პირველი უსაყვარლესი შვილის და მეორენი ბიძიშვილის

## გიორგი გიგოსძე დოლიძის (პარუჩიკის)

კავკასიის ფრონტზედ გმირულად და შეუპოვრად უდროვოდ დაკარგვას, რომელიც მოხდა ხუთ აპრილს ნატანებ და ქობულეთ შუა დიდი ბრძოლის დროს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფ. ამაღლებაში (გურია). (2—1)

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

ხუთშაბათს 12 აპრილს 1918 წ. სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" რედაქციის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება:

## ქრისტინე

დრამა 4 მოქ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ანკარა, არჯევანიძე, ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, ჩერქეზიშვილი, ჯავახაშვილი; ბ-ნნი: ანაშვილი, გოცირიძე, იველი, მეტრეველი, მინდიაშვილი, სალაყაია და სხვანი.

დასაწყისი საღამოს შვიდის ნახევარ საათზე.

ადგილების ფასი 1 მ. 40 კ.-დან 35 კ.-მდე.

## პური

მიმდინარე წლის 10 აპრილიდან მოქალაქეთ მიეცემათ ნახევარი გირვანქა პური თვითეულ სულზე.

ვისაც სურვილი აქვს პურის მაგიერ სიმინდის ფქვილს ღებულობდეს, მას შეუძლია ასეთი მიიღოს ქალაქის დუქნიდან სამი მერვედი გირვანქა თვითეულ სულზე.

ვისაც გავლილ აპრილის დღეების ბარათები აქვს დარჩენილი მას შეუძლია ამ ბარათებით მიიღოს მეოთხედი გირვანქა პურის ფქვილი თვითეულ რაციონზე.

თეთრ პურზე ნიხრი უქმდება.

(1—1) თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## განცხადება

მიწათმოქმედების სამინისტროს კანცელარია ამით აცხადებს, რომ აპრილის 8 ს დღის 12 საათზე, ბაკურიანის ფერმაში, რომელიც იმყოფება ს. ციხის ჯვარში

## საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ჯიშიანი ოთხფეხი საქონელი, რომელიც ეკუთვნის—ბორჯომის სახელმწიფო ნაციონალურ მამულს. მყიდველების შეჯიბრება დაიწყება შეფასების ჯამიდან, რომელიც აღნიშნულია თვითეული გასაყიდ ძროხის პირდაპირ, სახელდობ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. № 160—ვარია | 450 | მანეთი. | 11. № 162—სერნა | 300 | მანეთი. |
| 2. „ 9—ლასკა | 400 | „ | 12. „ 15—ლინდა | 350 | „ |
| 3. „ 147—ფელმა | 450 | „ | 13. „ 102—ლიუბოჩკა | 300 | „ |
| 4. „ 114—სენტა | 450 | „ | 14. „ 104—ლეონორა | 350 | „ |
| 5. „ 123—არზა | 350 | „ | 15. „ 97—პიონერკა | 400 | „ |
| 6. „ 95—რახელ | 800 | „ | 16. „ 86—ჩებერიანკა | 300 | „ |
| 7. „ 16 კიტაიანკა | 450 | „ | 17. „ 35—ნეგრიტიანკა | 450 | „ |
| 8. „ 44—ლან | 600 | „ | 18. „ 159—თამარა | 350 | „ |
| 9. „ 118—ციპორა | 300 | „ | 19 „ 106—სილა | 350 | „ |
| 10. „ 31—რიატნკა | 300 | „ | 20. „ 32—ირიშა | 600 | „ |

ამას გარდა იყიდება აგრეთვე 5 ხბო და 10—10 თვის ერთიც 1 წლის მოზვერი,—თვითეული შეფასებულია 200 მ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღები ვალდებულია შეჯიბრების გათავებისთანავე შეიტანოს პირველი ნახევარი ღირებულებისა, ხოლო მეორე ნახევარი სამი დღის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის დასრულებისა, ხოლო მეორე ნახევარი სამი დღის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის დასრულების დღიდან. ამასთანავე მყიდველი ვალდებულია საქონელი წაიყვანოს სამი დღის განმავლობაში დღიდან საჯარო ვაჭრობის დასრულებისა.

თუ მყიდველი რაიმეში დაარღვევს ამ კონდიციას, პირობა დარღვეულად იცნობა და შეტანილი ფული ხაზინის სასარგებლოდ ჩაირიცხება.

საჯარო ვაჭრობას აწარმოებს ბორჯ. მიმღებ კომისიის თავმჯდ. შ. იოსელიანი (1—1)

კვირას, 15 აპრილს დილის 10 საათზე ვაჟთა 3 მე გიმნაზიის დარბაზში (შესასვლელი ველიამინოვის ქუჩიდან) დანიშნულია მე-4 უბნის მოქალაქეთა კოოპერატივ „პროდოვოლსტვიეს" წევრთა

## საერთო კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება კოოპერატივის წესდებისა.
2) ბიუროს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ.
3) ხარჯთაღრიცხვის და ანგარიშის დამტკიცება.
4) გამგეობის წევრთა არჩევა.
5) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
6) მიმდინარე საქმენი.

თუ რომ კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო,—კრება მეორედ დაინიშნება იმავე დღეს იმავე შენობაში საღამოს 6 საათზე, და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

(2—1) კოოპერატივის ბიურო.

## დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

საერთაშორისო ურთიერთობა არსებითად შეიცვალა და ამიერ-კავკასიის დემოკრატია და მისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო—სეიმი—იძულებული გახდა ჩვენი მხარე დამოუკიდებელ ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკათ გამოეცხადებია.

ამ გარემოებამ საზოგადოების რეაქციონურ ნაწილში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და უკანასკნელებიც შეუდგენ შავრაზმულ აგიტაციას.

აქ უმთავრესათ რუსეთის იმპერიალისტები და მათი ამყოლ-დამყოლი ცრუ-სოციალისტები შეთანხმებულათ გამოდიან, დარაზმულათ მოქმედებენ და დამოუკიდებლობის გამოცხადებას ამიერ კავკასიის დემოკრატიას საერთაშორისო პროლეტარიატის იდეიების მოღალატეობათ უთვლიან.

პირველი ჯურის, ე. ი. იმპერიალისტების ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, მოხელეთა უკმაყოფილობა ადვილი გასაგებია; იმათთვის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება პრივილეგიების დაკარგვაა; ლუკმა პურის საკითხია და ამიტომაც ასე გააფთრებული იბრძვიან მის წინააღმდეგ.

ძველმა დესპოტიურმა მთავრობამ დაიპყრო მრავალი სხვადასხვა ერებით დასახლებული ტერიტორიები და ამ ტერიტორიებზე ბიუროკრატიული წყობილება განამტკიცა. რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიის გადიდება, წარმოების წესის განვითარებით არ ყოფილა გამოწვეული და ამიტომაც არის იგი დაიშალა და მის მრავალ ტერიტორიებს ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოები დაეპატრონენ.

რუსეთის დაშლის ტენდენცია პარვუსმა ამ ათი წლის წინათ აღნიშნა, რაც ამ მსოფლიო ომის პროცესში სინამდვილეთ გადაიქცა.

კაპიტალისტური სახელმწიფოები მას ასეთ არა ბუნებრივ ზრდას არ შეარჩენდენ და დღეს ცენტრალური და თვით შეთანხმების სახელმწიფოები თამამად ეპატრონებიან რუსეთის ტერიტორიებს.

კაპიტალისტური სახელმწიფოები თავიანთ ისტორიულ მისიას „პირნათლად" ასრულებენ და რუსეთის ნაწილებს დაეპატრონენ.

ამის მერე რაღა გასაკვირველია, თუ ასეთივე ბედი ეწია ამიერ-კავკასიას და ცენტრალურ სახელმწიფოები ეპოტინებიან და უკანასკნელის თავიანთ კოლონიათ გამოცხადებას აპირობენ.

დღეს ჩვენს მხარეს დაძაბუნებელი ოსმალეთი არ ემუქრება, მას გვერდს უმაგრებს უკვე გამარჯვებული გერმანია და აქ თავისი ბატონობის განმტკიცებას ცდილობს.

ეჭვს გარეშეა, მისი აქ ბატონობა უმთავრესად ეკონომიური იქნება და პოლიტიკურს შემდეგისათვის შეუდგება. რომ უფრო მტკიცე იყოს მისი იმპერიალისტური პოლიტიკა, იგი აქაც—ამიერ-კავკასიაში, ბუფერულ სახელმწიფოს შექმნას მოითხოვს და ეს თავისი სურვილი ჩვენს დელეგატებს ტრაპიზონში ოსმალეთის წარმომადგენლების პირით განუცხადა.

თავისთავად საგულისხმოა, რომ ამიერ-კავკასიის საკითხი საერთაშორისო მასშტაბით სწყდება და ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება მჭიდროთ შეკავშირებულია ცენტრალურ სახელმწიფოების გამარჯვებასთან.

შედარებით უძლურნი და ხანგრძლივი ომისაგან მოქანცული ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი გერმანიას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდენ და წინ დახედული დემოკრატია იძულებული გახდა მოწინააღმდეგეს მოთხოვნა—დამოუკიდებლობის გამოცხადება აღიარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ფიზიკური განადგურება მოელოდა. ამას ზედ დაერთობოდა საშინელი ნაციონალური ხოცვა-ჟლეტა და მთელი ამიერ-კავკასიის ხალხების სრული განადგურება.

აი ის დილემა, რომელიც საერთაშორისო მდგომარეობამ წამოაყენა და რომლის წინაშე ჩვენ იძულებული გავხდით ქედი მოგვეხარა.

ჩვენ აღარ გვყავნდა ძლიერი მოკავშირე, რუსეთის ძლიერი დემოკრატია, რომელიც მედგრათ დაირაზმებოდა და მოსეულ გარეშე მტერს მოგვაშორებდა. პირიქით, იგი თავისი მოქმედებით მტრის გაძლიერებას ხელს უწყობდა კომუნისტ-ბოლშევიკების პარტიის მეოხებით—ამიერ-კავკასიის სამი ოლქი ოსმალეთს გადაეცა.

მიუხედავათ ამისა ამიერ-კავკასიის მოხელეთა არმია და შავრაზმელები დამოუკიდებლობას დიდ დანაშაულათ გვითვლიან და მთელ რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ აჩხედრებენ. ასეთია გაბოროტებულ ბიუროკრატებისა და შავრაზმელების სულის კვეთება.

მაგრამ მათ, როგორც უკვე ავღნიშნეთ გვერდში ამოუდგენ ცრუ-სოციალისტური პარტიები და უარეს განგაშს ეწევიან. ვიცით, თუ რა ჯურის სოციალისტები არიან ეს ვაჟბატონები! ისინი საქვეყნოთ გაიძახიან ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მოღალატეობაზე და თითონ თავი წმინდა წყლის სოციალისტებათ მოაქვთ.

ჩვენ ისინი პრინციპების მოღალატეობას გვიკიჟინებენ და ამ ნიადაგზე დემაგოგიურ აგიტაციას ეწევიან, მაგრამ ცრუ-სოციალისტებს დავიწყებიათ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, მისი ერთა თვითგამორკვევის პრინციპი.

ერთა თვითგამორკვევა უმაღლესი პრინციპია და იგი ამა თუ იმ ერის სრულ დამოუკიდებლობასაც შეიცავს. სრული გამოყოფა და სხვა რომელიმე ფორმა პრაქტიკული საკითხია და იგი დროის და გარემოების მიხედვით სწყდება.

ცნობილი მარქსისტი კარლ კაუცკი ერთ თავის შესანიშნავ ნაწარმოებში ამბობს: რუსეთში სხვადასხვა ერები განაპირა კუთხეებში ცხოვრობენ. ამ ერებს, განსაკუთრებით კი კავკასიას თავისუფლად შეუძლიათ გამოყოფა, ცენტრალურ რუსეთს და ამით არც ცენტრალურ და არც კავკასიის დემოკრატიას არაფერი დაუშავდებაო.

დღეს, როცა ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ თავისი საკუთარი ძალღონით უნდა დაიცვას თავისი ფიზიკური არსებობა, იგი იძულებული გახდა ჩვენი კუთხე დამოუკიდებელ ფედერატიულ, დემოკრატიულ რესპუბლიკათ გამოეცხადებია და ყოველი მუშა, შეგნებული დემოკრატია მის არსებობას დაიცავს და არავის ნებას არ მისცემს იგი გადალახოს. სულ ერთია საიდან იქნება ასეთი საფრთხე: აღმოსავლეთიდან, თუ ჩრდილოეთიდან.

## დამოუკიდებლობა და თავდაცვის საქმე

ჩვენი ქვეყანა საკუთარ ფეხზე დგება, მისი დემოკრატია დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს. სეიმმა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამიერ-კავკასია სუვერენული ფედერატიული და დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ახალგაზდა რესპუბლიკის პირველი სიტყვა, რომელიც სეიმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაშია გამოხატული, დემოკრატიის ცნობილ ლოზუნგის განმეორება წარმოადგენს: სეიმმა მიანდო ახალ მთავრობას ჩამოაგდოს ზავი, და ზომები მიიღოს, რომ შეწყვეტილ იქნას საომარი მოქმედება და ქვეყნის თავდაცვის საქმე მოეწყოს.

ამ მხრით არსებითად სეიმის და მთავრობის პოლიტიკა არ შეცვლილა. ზავის ჩამოგდებისათვის ზრუნვა ყოველ დემოკრატიულ მთავრობის მოვალეობაა, ხოლო ამავე დროს თავდაცვის მოწყობა ის უტყუარი საშვალებაა, რომლის უკუგდებამ დაღუპა რუსეთის რევოლუცია და დღეს ჩვენს დაღუპვასაც უწყობს ხელს.

მაგრამ არის ერთი ახალი მომენტიც—აქტი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების შესახებ. ამ აქტს ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ის, ასე ვთქვათ, ორმაგი იარაღია. მის ერთ მხარეზე ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი შეხედულება: ჩვენ თითონ კარგათ ვგრძნობთ ან უკეთ რომ ვთქვათ ჩვენზე უფრო მწვავეთ არავინ არ გრძნობს იმ ტრაღიზმს, რომელშიაც ჩვენ რუსეთის ჩამოშორება გვაყენებს. მაგრამ ვიმეორებთ, დღეს რუსეთს მისი ოფიციალური მთავრობის სახით არავითარი შველა არ შეუძლია ან არ სურს, პირიქით ის ყოველ ფეხის გადადგმაზე ხელს გვიშლის და ჩამოშორების მავნებლობაზე სწორეთ ისინი გაჰკივიან, ვისაც დემოკრატიასთან და რევოლიუციასთან საერთო არაფერი აქვს.

ჩვენ გვინდა დემოკრატიის ყურადღება მივაქციოთ დამოუკიდებლობის აქტის მეორე მხარეზე. მიუხედავათ იმისა, რომ ლენინის მთავრობამ ბრესტში ჩვენი დემოკრატიის დაუკითხავათ დაუთმო ოსმალეთს ჩვენი კუთხის სამი მნიშვნელოვანი ოლქი, მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკური მთავრობა და მისი აგენტები ამიერ-კავკასიაში განუწყვეტლივ ზურგიდან გვესხმიან და პირნათლათ ასრულებენ გერმანიის იმპერიალისტების წინაშე დადებულ პირობას—ხელი შეუწყონ ამიერ-კავკასიის ნაწილის ოსმალეთის ხელში გადასვლას, ჩვენი დემოკრატიის ერთი ნაწილი კიდევ დარწმუნებულია რუსეთი ჯარს მოგვაშველებდა, რომ მას არ ჩამოვშორებოდით და დამოუკიდებლობა არ გამოგვეცხადებია. ამიერიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დემოკრატიამ უნდა შეიგნოს, რომ ის შველას არსაიდან არ უნდა ელოდეს და საკუთარ ბედის გამოჭედას თითონ უნდა შეუდგეს. და ახლა კითხვა იბადება: გვიშველის თუ არა ჩვენ ზავზე ზრუნვა, შევძლებთ თუ არა ზავის ჩამოგდებას, უკეთუ თავდაცვაზე ხელი ავიღეთ.

მწარე გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საზავო მოლაპარაკება ვერ მოგვცემს შვებას, თუ იარაღით არ ვართ გამაგრებული, მთავრობა ვერ შესძლებს დავალებულ მოვალეობას ასრულებას, ვერ ჩამოაგდებს ზავს, თუ მას ჯარმა არ გაუმაგრა ზურგი. ზავი ხომ შეთანხმებას, შერიგებას გულისხმობს და რომელი იმპერიალისტური სახელმწიფო იქნება, რომ დაგითმოს, თუ კი წინააღმდეგობას არ დაინახავს. თუ ჩვენ არ გვსურს თავის დაცვა, თუ ბრძოლის უნარი არ შეგვწევს, მაშინ ლაპარაკი შეიძლებოდა არა ზავზე, არამედ დამორჩილებაზე. შეგვიძლია თუ არა ჩვენ დამორჩილებაზე ლაპარაკი? სანამ მტერი შორს იყო, დიდი გასავალი ჰქონდა ბოლშევიკურ ქადაგებას: რისთვის გვჭირია ბათუმი, ეს ხომ ბურჟუების საქმეაო და ხალხიც გულგრილათ უცქეროდა ბათუმის ბედს. მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, თუ რას უნდა მოველოდეთ ოსმალეთისაგან: დღეს ის უკვე შემოიჭრა დასავლეთ საქართველოს საზღვრებში, გურიის მიდამოებში თარეშობს და თუ დროზე ზომები არ მივიღეთ, ახალციხიდან ბორჯომ ხაშურს მოადგება, რკინის გზას გადასჭრის და საქართველოს ორათ გაჰკვეთს, იმერეთ-გურიას და ქართლ-კახეთს ერთმანეთს მოაშორებს. დეე ბათუმის და ტრაპიზონის მაგალითმა გაგვაფრთხილოს და გაორკეცებულის ენერგიით მოგვაკიდებინოს ხელი თავდაცვის საქმისათვის. ამას გვავალებს ჩვენი მომავალი, ამას გვავალებს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ბედ-იღბალი.

მაგრამ მარტო იარაღი არ კმარა. რუსეთში გამეფებული ანარქია, არ ვიცით, სადამდე მიიყვანს მეურნეობის დაცემას. დღემდის ჩვენ რუსეთის პურით ვიკვებებოდით, მაგრამ თუ იქ სამოქალაქო ცხოვრება ვერ მოეწყო, თუ ბაქო და შავი ზღვის ნაპირები მალე არ გაიწმინდა ბოლშევიკებისაგან, რუსეთიდან პურის შემოტანა შეუძლებელი გახდება და ჩვენც დამშევა არ აგვცდება. ამიტომ ვაჟკაცები და გამოცდილი მეომრები ჯარში უნდა წავიდენ, ხოლო დანარჩენებმა ყანების დამუშავებას უნდა მოჰკიდონ ხელი. არც ერთი ადლი მიწა დაუთესავი და დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს. ქვეყანას იცავს ის, ვინც იარაღში ჯდება, მაგრამ მინდვრებში მუშაობაც ქვეყნის თავდაცვას უწყობს ხელს.

ტკივილებში და გაჭირვებაში იშვა ჩვენი თავისუფლება, ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას აუარებელი მტერი ახვევია გარს. ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობაა დავიცვათ ის როგორც შინაურ ანარქიისა და ეკონომიურ არევ-დარევისაგან, ისე გარეშე მტრის შემოსევისაგან.

საბედისწერო ჟამი დადგა და დემოკრატიამ ახლა უნდა გამოიჩინოს თავისი სიმწიფე. ან სიცოცხლე, ან სიკვდილი—სხვა გზა არ არსებობს

## პრესა

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებამ დიდი აურზაური გამოიწვია საზოგადოების ერთ ნაწილში, განსაკუთრებით რუს მცხოვრებლებში.

რა მოხდა? ლენინის მთავრობამ არა თუ ხელი აიღო ჩვენზე, პირიქით ბრესტში ოსმალებს მიჰყიდა ჩვენი საარსებო ინტერესები და დღესაც ჩვენ მტრებს უმაგრებს ზურგს. საჭირო იყო ჩვენი თავის მოვლა ჩვენვე გვეკისრა და ამიტომ დავაკანონეთ ის მდგომარეობა, რომელშიაც უკვე ხუთი თვეა ვიმყოფებით.

ცხადია, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადება ჩვეულებრივ მოვალეობას აკისრებს მის მცხოვრებთ. ეს ანბანური ჭეშმარიტება არ სურს გაიგოს კადეტების გაზეთს „ნაროდნაია სვობოდა"-ს. გუშინდელ ნომერში მოწინავე წერილი არკვევს სეიმის მიერ მიღებულ აქტს დამოუკიდებლობის შესახებ და სხვათა შორის სწერს:

„თუ წინეთ რუსეთის საბჭოთა მთავრობას კიდევ ქონდა შეძლება მშვიდობიანის გზით მოეგვარებია ჩვენთან დამოკიდებულება, დღეს ეს შესაძლებლობა მოსპობილია. ასეთ პირობებში ოსმალეთთან ზავი გამოიწვევს ომს სხვასთან არავისთან... გარდა რუსეთისა.

ჩვენ ვიცით, რომ უკრაინამ გამოაცხადა თავისი სუვერენიტეტი და დღეს მას რუსეთთან ომის წარმოება უხდება, რადგან ცენტრალურ მთავრობას ავია ის თუ კარგი არ შეუძლია დაუშვას ასეთი მოქმედება და შეიარაღებული ხელით უნდა შეაჩეროს რუსეთის დარღვევა.

მაგრამ საშინელება მარტო ამაში როდია.

საშინელება იმაშია, რომ როცა ჩვენ ბოლშევიკურ რუსეთს ვებრძოდით, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ სამოქალაქო ომისაგან ვიცავთ თავს.

დღეს კი, როცა ბოლშევიკები ომს გამოგვიცხადებენ რუსეთის მთლიანობის შესარჩენათ, მთელი ქვეყნის მცხოვრებთა სიმპატიები შეიძლება მათ მხარეზე აღმოჩნდეს და ჩვენს წინააღმდეგ აჩხედრდენ არა მარტო ბოლშევიკები.

ერთის მხრით პრობლემატიური ზავი ოსმალეთთან, ხოლო მეორე მხრით უკუნური ომი რუსეთთან.

აი რა შედეგს მივაღწიეთ ჩვენ".

ამ ნაირათ, კადეტების პარტია და მის გარშემო შემოკრებილი რუსი მოხელეები და უსაქმო აფიცრები ომით გვემუქრებიან. ბოლშევიკურმა რუსეთმა მოღალატურათ მიგვატოვა, ჯარები ფრონტიდან წაიყვანა, ჩვენი ქვეყნის ნაწილი ოსმალეთს დაუთმო, მაგრამ თურმე ჩვენზე ბატონობას არ ეთხოვება. იცის თუ არა კადეტების პარტიამ, რომ ვინც ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობს ვალდებულია მისი წყობილებაც იცნოს და თუ კადეტებს ომი სწყურიათ, კეთილ ინებონ და მიატოვონ ამიერ-კავკასიის საზღვრები. თორემ საკუთარ სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრებას „ბუნტი" ეწოდება და კადეტებმა ჩვენზე უკეთ იციან, თუ რა სასჯელი ეკუთვნის კანონით „ბუნტოვშჩიკს". კადეტებზე ნაკლებ თავხედურათ არც ის ჯგუფი იქცევა, რომელსაც სოციალისტ-რევოლიუციონურ გაზეთ „ზნამია ტრუდა"-ს რედაქციაში მოუკალათებია. მისი გძელ ასოებით დაწერილი მოწოდება ბოლშევიკების მოწოდებას გვაგონებს, როცა ისინი ეშელონებს იწვევდენ თფილისზე თავდასასხმელათ. აი ეს მოწოდებაც:

„ამიერ-კავკასიის სეიმმა ბეგების გავლენით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გეგეჭკორის მთავრობა დაეცა. ამიერ-კავკასიის მოქალაქენო! მოითხოვეთ საყოველთაო რეფერენდუმი. ამხანაგო მუშებო, სალდათებო და გლეხებო! მოითხოვეთ მუშათა, გლეხთა და სალდათთა კრილობის მოწვევა.

ძირს ოსმალეთის იმპერიალიზმის მიერ აშკარათ და ფარულათ მოყიდულები. გაუმარჯოს მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას".

გულუბრყვილო მკითხველს ეგონება რომ საქმე რუსეთის რევოლიუციას ეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ხუთშაბათს 12 აპრილს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა დ პანაშვიდი, წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე უდროვოდ და ტრაღიკულად გარდაცვალებულის

**მიხეილ (მიშა) ალექსანდრეს ძის აბულაძის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, ბიძა იუსტინე ირაკლის ძე და მეუღლე ნინა მაქსიმეს ასული აბულაძენი და მამიდა ელისაბედ ირაკლის ასული გულისაშვილისა და სიძე ილარიონ მიხეილის ძე გულისაშვილი.

ბა. ესერებს გონიათ, რომ ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა რუსეთის რევოლუციას ასუსტებს, სანამ შეიძლებოდა და საჭირო იყო, ჩვენი დემოკრატია საკუთარი სისხლით იცავდა საერთო საქმეს. დღეს ბალშევიკების მოღალატურმა მოქმედებამ დაასამარა რუსეთის რევოლიუცია და ჩვენ იძულებული ვართ გადავარჩინოთ ის, რისიც გადარჩენა შეიძლება. ესერებს გონიათ, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისთვის ძირის გამოთხრა რევოლიუციის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. იმან მაინც უნდა დააფიქროს ესერების ჯგუფი, რომ დღეს მათს მხარზე არიან და სეიმის მიერ მიღებულ დადგენილებას ეწინააღმდეგებიან სწორედ ხალხის მტრები: მოხელეები, მონარქისტები, ბალშევიკურ ნიღაბ აფარებული მძარცველები და მოღალატე ჯარისკაცების ჯგუფი. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ „ზნამია ტრუდა“-ს რედაქციას, როცა ის არ ემორჩილება საკუთარ პარტიის დადგენილებას!

მითხარ ვის მოსწონხარ და გეტყვი ვინა ხარო—„ზნამია ტრუდა“-ს რედაქციაზე შეიძლება ითქვას.

## კომუნიზმიდან სოციალ-დემოკრატიზმისაკენ

საბჭოების წინააღმდეგ ოპოზიცია, რომელსაც ამდენ ხანს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ეხლა გაიზარდა და ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. ხარკოვში მუშათა კონფერენციამ მოწოდება გამოაქვეყნა, რომლითაც სასტიკათ გმობდა ბალშევიკების პოლიტიკას, რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა მოინდომა მოწოდების ავტორების პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ კომუნისტური მოსამართლენი იძულებული გახდენ ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზედ. ნიჟნი-ნოვგოროდში სახალხო კომისარი შლიაპნიკოვი სასტიკათ დამარცხდა მუშათა დიდ კრებაზე, რომელმაც მენშევიკების რეზოლიუცია გამოიტანა. ტულაში ქალაქის მუშათა კონფერენცია მედგრათ შეებრძოლა ბალშევიკების სასურსათო გამგეობას და ბალშევიკების დემაგოგიურ ყვირილზე სახალხო წარმომადგენლობის წინააღმდეგ „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო“. მოსკოვში, პროხოროვის მანუფაქტურა, რომელიც ბალშევიკების მიუვალ ციხეს წარმოადგენდა, ძლიერ მტრულათ შეხვდა ოქტომბრის რევოლიუციის სიამაყეს—ლ. ტროცკის. პეტროგადში ანტიბალშევიკური მოძრაობა მუშათა რწმუნებულების კონფერენციაში გამოიხატა, რომელმაც ეხლა ორგანიზაციული ხასიათი მიიღო და მუშათა წარმომადგენლობის მუდმივ ორგანოთ გარდაიქცა.

ფაბრიკა-ქარხნების რწმუნებულთა პირველმა არა ჩვეულებრივმა კრებამ ნათლათ დაგვანახვა საბჭოთა მთავრობის დაცემა დ პეტროგრადის მრეწველობის მოწესრიგებისათვის მათი ცდის უნაყოფოთ ჩატარება. ყველასათვის აშკარაა, რომ ბალშევიკების პრაქტიკამ „მუშათა კანტროლის“ შესახებ მრეწ. სრული ლიკვიდაცია მოახდინა და როცა ეხლა ბალშევიკების მრეწველობაზე ოპერაციამ ფაბრიკა-ქარხნების დახურვა და უმუშევრობა გამოიწვია და მით აშკარათ დაანახა მუშებს, რომ ბალშევიკებმა „კომუნისტურ რევოლიუციის“ სახით მათ ლახვარი ჩასცა და უკეთუ ოქტომბრის კატასტროფის შედეგების წინააღმდეგ დაუყონებლივ მიღებულ არ იქნა სასტიკი ზომები, მუშები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივიან და ისევ ბურჟუაზიულ ნიადაგზე აღდგენილ კაპიტალის მსხვერპლათ გახდებიან.

მუშათა კლასმა უკვე დაჰკარგა რევოლიუციით მოპოებული უფლება—თავისუფლება. ყველა მისი კლასიური ორგანიზაციები—პროფესიონალური კავშირები, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, რაიონული და ცენტრალური საბჭოები სრულიად ჩამოშორდენ მასას და ბალშევიკურ ბიუროკრატიის ორგანოებათ გარდაიქცენ, რომლებიც მით უფრო თავის ნებით მოქმედებენ, რაც უფრო გრძნობენ თავის გაკოტრებას. მაგრამ ბალშევიკების გაკოტრება მთელი მუშათა მოძრაობის გაკოტრებათ არ უნდა გადაიქცეს. და რომ ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ, ამისთვის საჭიროა რაც შეიძლება საჩქაროთ აღდგენილ იქნეს პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციები. მოსალოდნელ უბედურების გამო კონფერენცია აყენებს ლოზუნგს ფროფესიონალურ კავშირების მთავრობისგან სრულ დამოუკიდებლობის შესახებ. აგრეთვე მოითხოვენ განთავისუფლებულ იქნას პროფესიონალ. კავშირები სამეურნეო ფუნქციებისგან და დადგეს კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე. ეს მართლაც მომენტის ცენტრალური მიზანია. მართლაც, რუსეთის მრეწველობის აღდგენა შეიძლება ორ ფორმაში: ან ძველ ფორმაში, როცა არც ტეხნიკა იყო, წარმოება ცოტა იყო და ცოცხალ სამუშაო ძალის უხეში ექსპლოატაცია ხდებოდა სამუშაო დღის გაგრძელებით და ხელფასის შემცირებით,—ან ისე, როგორც ამერიკაშია, სადაც ტეხნიკა უმწვერვალესათ განვითარებულია, შრომის უმაღლესი წარმოებაა სამუშაო დღის შემოკლების და ხელფასის გადიდების გამო. მხოლოდ ძლიერ პროფესიონალურ კავშირებს შეუძლიათ ამ მეორე გზას დააყენონ კაპიტალისტები. საკვირველი არ არის, რომ ასე მოთმინებით უყურებს ბურჟუაზია როგორ ანადგურებს ბალშევიკები ყველაფერს, ძირს უთხრიან მრეწველობას, რადგან დარწმუნებული არიან, რომ კომუნისტურ კომისრების მიერ მოხნულ მიწაზე დიდ მოსავალს მოიმკიან მომავალში.

მაგრამ გაბატონებულ „კომუნიზმის“ წინააღმდეგ პროლეტარულ ოპოზიციას კარგათ ესმის, რომ მარტო პროლეტარიატის კლასობრივი კავშირები საკმარისი არ არის რევოლიუციის მონაპოვარის დასაცავათ. ის არა ნაკლებ ენერგიით იბრძვის დემოკრატიულ სახალხო წარმომადგენლობის ორგანოების დასაცავათ. დიდი ხანია სთქვეს, რომ პოლიტიკური რეაქცია ჩვენში იმ კარებიდან შემოიჭრება, რომელიც ბალშევიკებმა გააღეს. სინამდვილე უფრო უარესი გამოდგა. ბალშევიკური რეჟიმი არა თუ ამზადებს რეაქციას, ის თვით რეაქცია არის. ბალშევიკები კი ამ თავიანთ მოქმედებას გულდამშვიდებით უცქერიან. როგორც სახალხო კომისარი ლუნაჩარსკისთან ბაასიდან გამოირკვა, უკვე სდგება „მოსაქმეთა ბლოკი“ ბურჟუაზიისა და კომუნისტებს შორის, მხოლოდ ბურჟუაზიისგან მოითხოვენ საბჭოს მთავრობის აღიარებას. მერე და რატომ არ უნდა აღვიარონ ის? ეს მთავრობა ყოვლად უპასუხისმგებლოა, არავითარ კანტროლს არ ექვემდებარება. თავის მიზნების განსახორციელებლათ ის ცოტათი ძალას პოულობს, ხარჯებს სრულიად არ ერიდება, სინათლეს ნიკოლოზის თვითმართველობის ნაკლებ არ ებრძვის და თუ ის ამასთან მზათ არის, ყველა „საქმიან საკითხებში“ ბურჟუაზიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იმოქმედებს ე. ი. იმას გააკეთებს, რასაც სამშობლოს კაპიტალიზმის ბელადები, ამაზე უკეთესი მთავრობა არც კი უნდა ბურჟუაზიას. რაკი 25 ოქტომბრის და 17 ოქტომბრის პარტიებს შორის უთანხმოება კეთილათ ოისპობა, განა სულ ერთი არ იქნება რა ერქმევა უმაღლეს მთავრობას—სახალხო კომისარები, თუ საიმპერატორო მთავრობა?

განა სულ ერთი არ იქნება, ვინ ჩაუდგება რუსეთს სათავეში—ალექსანდრე ივანესძე გუჩკოვი, თუ ვლადიმერ ილიასძე ულიანოვი? მრეწველები და ბანკირები საქმის ხალხია და უბრალო ლაპარაკი ეჯავრებათ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბატონ ლუნაჩარსკის ცნობა უფრო მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე ჩვეულებრივათ აქცევენ ამ მეტათ ექსპანსიურ კომისარის სიტყვებს. და თუ ეს ასეა, მაშინ მუშათა კლასის ბრძოლა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის მეტათ მნიშვნელოვან სახეს ღებულობს და დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. არა „ბალშევიზმის ჩამოგდების“ გზით, კორნილოვის და ალექსეევის ბათალიონებით მოდის ჩვენზე ბურჟუაზიური რეაქცია, არამედ მას იმედი აქვს უფრო ახლოს გაიკეთოს ბუდე თვით ბალშევიზმის სიმაგრეში, და თუ ეს მოხერხდა, მაშინ ის ზარბაზნებს, რომლებიც ამ სიმაგრეზე არის გადმოშვერი, პროლეტარიატს მიუბრუნებენ.

ამ მდგომარეობის გამო მუშათა მასის მიერ გაბატონებულ კომუნიზმის ზურგის შექცევა და ოპოზიციურ სოციალ-დემოკრატიის ბანაკში გადასვლა არა თუ დროს შესაფერია, არამედ დაგვიანებულიც კია. უნდა ვიჩქაროთ, უნდა შემოვკრიბოთ ძალები როგორც პროლეტარიატის კლასობრივ ორგანიზაციების აღდგენათ, ისე საზოგადოებრივ წარმომადგენლობის ორგანოების. რადგან, როგორც „სახარების სასიძო“, რეაქცია „მობრძანდება შუაღამისას“ და შეიძლება იმ მხრიდან სრულებითაც არ მოვიდეს, საიდანაც ელიან („ნ. ჟ.“).

ვ. ბაზაროვი.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

(10 აპრილის სხდომა).

თავჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

მიღებულ იქნა სამეურნეო კომისიის კანონ-პროექტი, რომლის თანახმათ სასახლის შესანახავათ გადაიდო 210,774 მანეთი.

**ალ. ლომთათიძემ** გააკეთა მოხსენება მილიციის რეზერვის გაუქმების შესახებ. ანარქია თანდათან ძლიერდება და ფართო ხასიათს იღებს. მილიციის რეზერვს არ შეუძლია მასთან ბრძოლა. საჭიროა დაარსდეს ცხენოსანთა მფრინავი რაზმები. ამ საქმისთვის საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცეს 6,754,200 მანეთი.

**ნოე რამიშვილი.** ანარქია თანდათან ფართოვდება, იგი სოფლებშიაც ვრცელდება. ბალშევიკების სახელით მოქმედებენ „რუსის ხალხის კავშირის“ წევრები. სიტყვების დრო წავიდა. მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს ანარქიის წინააღმდეგ. წითელ გვარდიას განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მივმართოთ. ყოველდღიურ საჭიროებისაოვის კი საჭიროა მოვაწყოთ ცალკე ცხენოსანთა რაზმები.

სეიმმა მიიღო მომხსენებლის წინადადება.

შემდეგ სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს **ალ. ლომთათიძე.** ადგილობრივ ბერძენთა საბჭოს მიუმართავს თხოვნით სამანდატო კომისიისათვის დაეთმოთ მათთვის 3 ადგილი სეიმში. კომისიას ეს თხოვნა ვერ დაუკმაყოფილებია. ეს დადგენილება სეიმმა მოიწონა. რაც შეეხება ს. საკიანის წერილობით განცხადებას, ს.-რევოლიუციონერთა მთელ ფრაქციას განუცხადებია, რომ საკიანის ხელმოწერილი სწორია, რომ იგი ნამდვილათ აცხადებს უარს დეპუტატობაზე.

სეიმმა მისცა თფილისის ქალაქის თვითმართველობას გრძელ ვადიანი უპროცენტო სესხი სასურსათო საქმისთვის 2 მილიონი და ავჭალიდან მესამე მაგისტრალის გამოსაყვანათ 1 მილ. მან.

საკითხი სამხედრო მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ გაარჩიეს დახურულ კარებში.

## ჩოლოქის ხიდთან

7 აპრილს ღამით ცნობა მივიღეთ, რომ ოსმალები ლამობენ თავდასხმას და ჩოლოქის ხიდის გადმოლახვასო.

ღამის სამ საათზე განკარგულება მივიღეთ გენერალ მაზნიევისაგან, რათა ბრძოლისთვის მოვმზადებულიყავით. გათენებისას ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი № 4 მიადგა მტრის სანგრებს, რომლებიც გამართული იყო მდინარე ჩოლოქის გაღმა ნაპირიდან 20 საჟენზე. აქ ოსმალებს დიდძალი ჯარი მოეყარათ და ფიქრობდენ გენერალური ბრძოლის გამართვას. გათენებისას ჩვენ შევიჭერით მტრის ხაზში მათ რკინის გზის ორივე მხრიდან, ასე ნახევარ ვერსის სიგრძეზე სანგრები გაემართათ და შით ჩამსხდარიყვენ. სანგრების ორივე ბოლოში და აგრეთვე უკან დიდძალი რეზერვი ჰყავდათ მოყვანილი. შესვლისათანავე ჩვენ მათ სანგრებს ტყვიის მფრქვევლები დაუშინეთ და რეზერვს ზარბაზნის ყუმბარები. დილის 5-დან 11 საათამდე შეუწყვეტელი ბრძოლა გვქონდა. მათ სეტყვასავით მოგვაყარეს თოფებისა და ტყვიისმფრქვეველთაგან ტყვიები. ისინი გაათრებული იბრძოდენ. ორი საათის ბრძოლის შემდეგ მათი სანგრები გავსწმინდეთ. ამ დროს ჩვენსკენ მათი რეზერვი წამოიწია და სასტიკი სროლა აგვიტეხა. ჩვენს წინა ვაგონში თითქმის მთელი კამანდა ზოგი დაჭრილი და ზოგიც მკვდარი (მოკლულია მხოლოდ 3) აღმოჩნდენ და მასროლი არავინ იყო. მტერს კი სასტიკი იერიში მოჰქონდა. განკარგულება მივეცი უკანა ვაგონს, რათა მას გაეჩინა მტრისათვის ცეცხლი. ამ დროს ჩვენი ერთი რაზმელი აკაკი ურუშაძე მტრის ცეცხლის ალში მამაცურად გაექანა ჩვენი სანგრებისაკენ და განკარგულება გადასცა, რათა ჩვენი ქვეითი ჯარი შეტევაზე წამოსულიყო, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. გორის „ოტრიადი“ ფიცხლავ გადმოვიდა შეტევაზე და დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. მათ შეტევაზე მტერმა პირი იბრუნა და დიდი ზარალით უკან დაიხია. ადგილზედ დასტოვა მრავალი დახოცილი და იარაღები. ჩვენი „კამანდა“ თავგანწირვით იბრძოდა. მოგვიკლეს სამი, მძიმეთ დაგვიჭრეს 12 და მსუბუქათ 13 კაცი. ჩვენ ამის შემდეგ დავბრუნდით ნატანებში.

საჭირო საქმის გამო უნდა გავმგზავრებულიყავით ქ. ოზურგეთში საათის 2-ზე მე და ჩემი ძმა მელენტი და აგრეთვე ამხანაგი პავლე მჟავანაძე. ავტომობილით გავუდექით გზას. კენჭნარის დუქნებთან ჩვენ მტრის მიერ ჩასაფრებულმა რაზმმა უეცრათ დაგვაყარეს ტყვიები. ჩვენი ავტომობილი მაშინვე წაგვიხდა მტრის გამოსროლილი ტყვიისაგან. შოფერი გაიქცა. ჩვენ გადმოვედით ავტომობილიდან, ჩავჯექით საფარში და დავუწყეთ სროლა. მათ იცოდენ ჩვენი მცირერიცხოვანობა და თამამათ მოიწევდენ ჩვენსკენ. მოგვიახლოვდენ და თათრულათ დაგვიძახეს „თასლიმო“—დაგვნებდითო. ჩვენ მეტი გზა არ გვქონდა, უნდა ხერხი გვეხმარა, რადგანაც ისინი 40 დე იქნებოდენ და ჩვენ კი მხოლოდ სამნი ვიყავით. ჩვენ მათ დავუძახეთ კარგითქო და სროლა შევაჩერეთ. როცა მოგვიახლოვდენ, შეჩერდენ და რამდენიმე კაცი წინ გამოუშვეს. ჩვენ ისინი ახლოს მოვუშვით და ერთბაშათ დავახალეთ თოფები. ბევრი მათგანი დავხოცეთ და დანარჩენები ვაიძულეთ გაქცეულიყვენ. ამ რიგათ დავიხსენით თავი. ამასობაში შოფერს გაეგებინებინა ჩვენებისათვის ჩვენი გასაჭირი. ხალხა ჩვენს დასახმარებლათ დაძრულიყო, მაგრამ, საბედნიეროთ, ჩვენ უკვე თავი დახწეული გვქონდა განსაცდელისაგან.

ვალოდია გოგვაძე.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

11 აპრილი.

**შავი ზღვის პირის მიმართულება.** ჩვენმა ჯარმა ოსმალებს ოზურგეთიდან ექადიის გორისკენ დაახევია.

**სარაყამიშის მიმართულებით** ცვლილება არ მომხდარა.

ვინაიდან ამიერ-კავკასიის სეიმმა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და განაახლა საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან, 10 აპრილიდან სამხედრო მოქმედება მთელს კავკასიის ფრონტზე შესწყდა.

როცა შავი ზღვის პირის რაიონში მყოფ ოსმალეთის ფაშას ცნობა გადასცეს სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ, მან განაცხადა, რომ სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ ოსმალთა ჯარების უფროსისაგან მეც მივიღე ბრძანება და ითხოვა ნება დაერთოთ მისთვის აეკრიბა 500 დახოცილი ოსმალოს გვამები, რომლებიც სად. ნატანების სამხრეთით ბრძოლის შემდეგ, 8 აპრილს მათ ვერ აკრიბეს.

## ახალი ამბები

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი აცხადებს ოფიციალურათ, რომ აპრილის 10-დან კავკასიის ფრონტზე ორივე მხრით სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია.

✦ **ამიერ-კავკასიის ფედერატიულ დემოკრატიული რესპუბლიკა.** ამიერ-კავკასიის მთავრობამ აპრილის 10 ამიერ-კავკასიაში უცხოეთის კონსულთა უხუცესს იტალიის კონსულს ლორენცო ვალერის შემდეგი ტელეფონოგრამით მიმართა: „აპრილის 9 (23) სხდომაზე ამიერ-კავკასიის სეიმმა გადასწყვიტა გამოაცხადოს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. გაცნობებთ რა ამას, ბ-ნო კონსულო, გთხოვთ ეს აცნობოთ უცხოეთის ყველა წარმომადგენლებს, რომლებიც თფილისში ჩამოდიან, რათა თავ-თავიანთ მთავრობებს შეატყობინონ“. ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ი. ჩხენკელი.**

✦ **ახალი კაბინეტი.** საგარეო საქმეთა მინისტრი—ა. ი. ჩხენკელი, შინაგან საქმეთა—ნ. ბ. რამიშვილი, იუსტიციის—ხან-ხოისკი, მიწად მოქმედების—ნოე ხომერიკი, სამხედრო—გრ. გიორგაძე, ფინანსთა—ა. ი. ხატისოვი, ვაჭრობა-მრეწველობის—ჰაიდარ-გაჯინსკი, სწავლა-განათლების—უსსუფ-ბეგოვი, სახელმწიფო კონტროლიორი—ჰაიდაროვი, გზათა მიმოსვლის—მელიქ-ასლანოვი, მზრუნველობის—კაჩაზნუნი, სასურსათო—საკიანი, შრომის—ერზიკიანი. საზღვაო და ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროები ახალ მთავრობაში აღარ იქნება; პირველის საქმეები გადაეცემა სამხედრო სამინისტროს, ხოლო მეორისა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✦ **ამიერ-კავკასიის რუსთა ნაციონალური საბჭოს** თავმჯდომარემ ლებედევმა 7 აპრილის თარიღით შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს: ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით 29 მარტს მთელი რიგი

## ტფ. მუშ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭო

(7 აპრილის სხდომა).

**ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბების გამო.**

10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ დ აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო სპეციალური კომისია. თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ამ კომისიაში აგრეთვე ქალაქის საბჭომ. აღმასრულებელი კომიტეტიდან კომისიაში შედიოდენ: აუშტროვი, ჟღენტი, ელენინი, ლორია, ტრაპაიძე და ფაბრიჩინოვი. საგანგებო საგამომძიებლო კომისიიდან—ბარსოვი, ანდრეევსკი და ბროდსკი. ქალაქის საბჭოდან—გრუზენბერგი. კომისიის თავმჯდომარემ აუშტროვმა მოხსენება გააკეთა ამ კრებაზე საქმის გამოძიებისა და იმ დასკვნების შესახებ, რომელიც კომისიამ გამოძიებული საქმიდან გამოიტანა. კომისიას ჩვენება ჩამოურთმევია 100-მდე მოწმისთვის და ყველა იმათთვის, ვინც სროლის დროს დაზარალდენ, მოუხდენია საექიმო ექსპერტიზა, დაუთვალიერებია თვით ის ადგილი, სადაც ამ სამწუხარო მოვლენას ჰქონდა ალაგი. თავისი დასკვნები კომისიას განუმარტავს 24 კითხვა-პასუხში. ამ კითხვებში ზოგიერთზე პასუხი გაუცია კომისიას ერთხმად, დანარჩენი მიუღია ხმის უმეტესობით. ამას გარდა, კომისიას შეუდგენია წერილობითი მოხსენება, რაიც ხმის უმეტესობით მიუღია. განსაკუთრებული აზრი არავის არ გამოუთქვამს, მხოლოდ მუშაობის გათავებისა და კომისიის დაშლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრის ტრაპაიძისაგან მიუღია განცხადება, რაიც გამოხატავს განსაკუთრებულ აზრს. ტრაპაიძე ამბობს, რომ სროლა ორგანიზაციულათ იყო მოწყობილიო. ტრაპაიძეს თავისი ხათქვამის დასამტკიცებლათ არავითარი საბუთი არ მოჰყავს. კომისია არ თვლის თავს ისეთ ორგანოთ, რომელსაც შეეძლოს ვისიმე გასამართლება ან განსაზღვრული ბრალდებების წამოყენება, ამის უფლება საბჭოს აქვსო.

შემდეგ მომხსენებელმა გამოაქვეყნა საქმის გამოძიების შეკითხვითი ფურცელი.

1. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ 10 თებერვალს 1918 წელს ქ. თფილისის დაცვის შტაბმა ალექსანდრეს ბაღში მომხდარ მიტინგზე გაგზავნა შტაბის ადიუტანტი ყიფიანი, რომ გახეცხადებია, მიტინგი აკრძალულია დაიშალეთო. მივიდა თუ არა მიტინგზე ყიფიანი და გახუცხადა ეს მიტინგის თავმჯდომარეს ქავთარაძეს?

**პასუხი: დამტკიცებულია** (ერთხმად).

2. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ამ მიტინგზე იმ მილიციონერს, რომელმაც განაცხადა მიტინგი აკრძალულია და დაიშალენითო, ბრბომ იარაღი აჰყარა. ამასთან ერთად წართმეული თოფი გადაეცა თუ არა ტრიბუნაზე თავმჯდომარეს კომისარიატში წარსადგენათ?

**პასუხი: დამტკიცებულია** (ერთხმად).

3. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ზემოხსენებულ მიტინგზე ბრბოში იყვენ ვინტოვკებით შეიარაღებული პირები?

**პასუხი: დამტკიცებულია** (ხმის უმეტესობით 3 წინააღმდეგ).

4. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ზემოხსენებულ მიტინგზე ალექსანდრეს ბაღში შესულმა საგანგებო რაზმის ჯარისკაცმა ხარლამპი ცქვიტინიძემ, რომელიც საგანგებო რაზმით შევიდა ბაღში, ბრბოს შესძახა დაიშალენით, თორემ თოფს გესვრითო და ამ დროს ვიღაც ახალგაზრდამ „შტატსკი“ ტანისამოსში გამოწყობილმა ცქვიტინიძე რამდენიმე გასროლის შემდეგ ორივე ფეხებში დასჭრა?

**პასუხი: დამტკიცებულია** 5 ხმით 4 წინააღმდეგ.

5. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ზემოხსენებულ მიტინგზე ბრბოდან ვიღაცამ საგანგებო რაზმის ჯარისკაცს ევტიხი გორგილაძეს ესროლა, რითაც თოფის კონდახი დაუმტვრია და შინელი გაუხვრიტა, რომელიც გორგილაძეს ტანთ ეცვა.

**პასუხი: დამტკიცებულია** 5 ხმით 3 წინააღმდეგ. ერთმა თავი შეიკავა.

6. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ მილიციონერი გერსამია მოკლულ იქნა ბრბოსაგან გამოსროლილი ტყვიით?

**პასუხი: არ არის დამტკიცებული** ვისი ტყვიითაა მკვდარი ის—საგანგებო რაზმიდან თუ ბრბოდან გასროლილი ტყვიით—8 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ.

7. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ მილიციონერი ლომიაშვილი დაიჭრა ბრბოდან გამოსროლილი ტყვიით?

**პასუხი: არ არის დამტკიცებული საგანგებო რაზმის ტყვიით დაიჭრა, თუ ბრბოდან გამოსროლილი ტყვიით** (8 ხმით 1 ხ. ის წინააღმდეგ).

8. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ სროლის ატეხამდე რაზმის მიერ ორჯერ იყო გასროლილი ერთი თოფი თანდათან?

**პასუხი: დამტკიცებულია** 5 ხმით 4 წინააღმდეგ.

9. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ სროლა რაზმმა ასტეხა გაუფრთხილებლათ?

**პასუხი: დამტკიცებულია**—ერთხმად, ორმა თავი შეიკავა.

10. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმის უფროსს საშვალება ჰქონდა მიტინგისთვის გაფრთხილება მიეცა?

**პასუხი: არ არის დამტკიცებული**—6 ხმით 3 წინააღმდეგ.

11. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმმა ყოველივე ღონე იღონა, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო სისხლის ღვრა?

**პასუხი: არ არის დამტკიცებული**—4 ხმით 2 წინააღმდეგ, 3 თავი შეიკავა.

12. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ 10 თებერვალის მიტინგი ალექსანდრეს ბაღში, სადაც სპეციალური ესტრადაა ტრიბუნისთვის, შეიძლება ჩაითვალოს აღკრძალულ მიტინგათ?

**პასუხი: დამტკიცებულია** 7 ხმით 1 წინააღმდეგ, 1 თავი შეიკავა.

13. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმის ხელმძღვანელებს იმხაძეს, ყიფიანს და ნიკოლაძეს უფლება ჰქონდათ მიცემული—თუ ბრბოდან რაზმს ესროდეს, იარაღი ეხმარათ?

**პასუხი: დამტკიცებულია** 8 ხმით 1 წინააღმდეგ.

14. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმმა სროლა დაიწყო ხელმძღვანელების ბრძანების მიუცემლად?

**პასუხი: დამტკიცებულია** (ერთხმად.)

15. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმის ხელმძღვანელებმა ძლივს შეაჩერეს სროლა?

**პასუხი: დამტკიცებულია**—ერთხმად.

16. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ პირველად რაზმმა გაისროლა ჰაერში?

**პასუხი: დამტკიცებულია**—6 ხმით 3 წინააღმდეგ.

17. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ტყვიისმფრქვეველებიდანაც ისროდენ?

**პასუხი: არ არის დამტკიცებული**—5 ხმით 1 წინააღმდეგ, 3 თავი შეიკავა.

18. **კითხვა:** დამტკიცებული თუ არა, რომ მიტინგის თავმჯდომარემ ქავთარაძემ ყიფიანის გაფრთხილების შემდეგ, რომ მიტინგი აკრძალული იყო, ეს არ განუცხადა კრებას და არ დაშალა ის?

**პასუხი: დამტკიცებულია**—ერთხმად.

19. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმთან ერთად არ იყო გაგზავნილი სანიტარები და მოწყალების დები?

**პასუხი: დამტკიცებულია**—ერთხმად.

20. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ მიტინგზე იყვენ შაუმიანი და კუზნეცოვი?

**პასუხი: დამტკიცებულია, რომ მიტინგზე იყო კუზნეცოვი, არ არის დამტკიცებული, რომ იყო შაუმიანი**—ერთხმად.

21. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ ბაღში მისულ რაზმს თავის მოვალეობის ასასრულებლათ თან ჰქონდა წითელი დროშა?

**პასუხი: დამტკიცებულია**—ერთხმად.

22. **კითხვა:** უკეთუ მე-21 კითხვა დამტკიცებულია, ამ შემთხვევაში დამტკიცებულია თუ არა, რომ რაზმი თავდაპირველათ ამ დღეს დანიშნული იყო სეიმში საპატიო დარაჯათ; რის გამოც რაზმს თან ჰქონდა წითელი დროშა?

**პასუხი: დამტკიცებულია**—8 ხმით 1 წინააღმდეგ.

23. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ 10 თებერვალს დილის 9 საათზე ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დაწყებამდე ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მივიდენ რამდენიმე პირები, (ბალშევიკები) და მუქარით მოითხოვეს მუშებს გაფიცვა გამოეცხადებიათ „კავკაზსკი რაბოჩი“-ს დახურვისა და ბალშევიკების დაპატიმრების გამო?

**პასუხი: დამტკიცებულია**—5 ხმით 4 წინააღმდეგ.

24. **კითხვა:** დამტკიცებულია თუ არა, რომ მიტინგზე ორატორები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდენ, რომ ა) სეიმი ბურჟუაზიული და ნაციონალისტური დაწესებულებაა, ბ) რომ წავიდეთ სეიმში და ვსთხოვოთ გაანთავისუფლონ შენობა, გ) რომ აუცილებელია კომისარიატის ჩამოგდება, დ) რომ უკეთუ არ იქნებოდა აღსრულებული მოთხოვნა „კავკაზსკი რაბოჩი“-ს გახსნის და დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ, უნდა წასულიყვენ მეტეხის ციხეში და გაენთავისუფლებიათ დაპატიმრებულნი, ე) რომ მესამე ვერსზე არის ისეთი ძალა, რომელიც, თუ საჭიროება მოითხოვს, მხარს დაგვიჭერს შეიარაღებული ძალითო?

**პასუხი:** ა) **დამტკიცებულია**—ერთხმათ, ბ) **დამტკიცებულია**—6 ხმით 1 წინააღმდეგ—2 თავი შეიკავა. გ) დ) ე) **დამტკიცებულია**—8 ხმით 1 წინააღმდეგ.

კომისიის **მოხსენების** თანახმათ 10 თებერვალს 1918 წ. ალექსანდრეს ბაღში მომხდარი ამბების დახასიათება ასე შეიძლება:

ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნის დღეს, 10 თებერვალს 1918 წელს, ალექსანდრეს ბაღში დანიშნული იყო ბალშევიკების მიტინგი. წინა ღამით თფილისის დაცვის შტაბმა ცნობა მიიღო, რომ ბალშევიკები ემზადებიან ქუჩაში გამოსასვლელათ, რათა მოახდინონ სეიმის და ამიერ-კავკასიის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რის გამოც გაჩაღებული იყო აგიტაცია როგორც მესამე ვერსზე მყოფ ჯარისკაცებში, აგრეთვე მუშებშიაც. დაახლოვებით დილის 9 საათზე ენფიაჯიანცის ქარხანაში, 10 თებერვალს, მივიდენ ბალშევიკური ფრაქციის წევრები და მუქარით მოითხოვეს მუშებისაგან გაფიცვა გამოეცხადებიათ „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვის და ზოგიერთი ბალშევიკების დაპატიმრების გამო მიტინგის გახსნისას ალექსანდრეს ბაღში კუზნეცოვმა წინადადება მისცა თავ-